ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 075/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. გ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 12 ივნისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიმართ მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა დანაშაულის ჩადენის შესახებ სავარაუდო ცრუ დასმენის ფაქტს, სადაც მისი საზოგადოებრივი ადვოკატი თავდაპირველად იყო დ. მ., ხოლო შემდეგ მ. გ.. ზ. ა.-ის განცხადებით, ადვოკატები სათანადოდ არ ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, სასამართლო პროცესზე ემხრობოდნენ ბრალდების მხარეს, არ ცდილობდნენ კლიენტის ინტერესების დაცვას, ემუქრებოდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოთავსებით და დასცინოდნენ.

1.3 გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ავტორმა ვერ მოახერხა ეთიკის კომისიის სხდომაში მონაწილეობა პირობების არქონის გამო, 2019 წლის 13 აგვისტოს ზ. ა.-ს ეთიკის კომისიამ მასთან შეთანხმებით წერილობით მიმართა საჩივარში აღწერილი გარემოებების დაზუსტების მოთხოვნით. 2019 წლის 26 აგვისტოს ზ. ა.-მ წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც დააზუსტა მის მიერ 2019 წლის 12 ივნისს წარმოდგენილ საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.4 2019 წლის 26 აგვისტოს ზ. ა.-მ წარმოადგინა დამატებითი განცხადება, სადაც დააზუსტა მის მიერ 2019 წლის 12 ივნისს წარმოდგენილ საჩივარში აღწერილი პრეტენზია ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ. 2019 წლის 26 აგვისტოს წარმოდგენილ წერილობით განცხადებაში ზ. ა.-მ არ დააზუსტა ადვოკატ მ. გ.-ის რომელ ქცევას ხდიდა სადავოდ, რაში გამოიხატებოდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების უგულვებელყოფა და არაკვალიფიციური საადვოკატო მომსახურება.

1.5 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიას არ მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატ მ. გ.-ის რომელ ქცევას ან ფრაზას მიიჩნევდა შეურაცხმყოფლად.

2. ადვოკატის პოზიცია:

ეთიკის კომისიამ 2019 წლის 13 სექტემბერს აცნობა ადვოკატ მ. გ.-ს, რომ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიამ 2019 წლის 12 ივნისს მიიღო ზ. ა.-ის საჩივარი მის მიმართ და განუსაზღვრა ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადა. ადვოკატ მ. გ.-ს ეთიკის კომისიისათვის ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. გ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 ზ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 12 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმისწარმოებისას ადვოკატმა მ. გ.-მ სათანადოდ არ დაიცვა კლიენტის უფლებები და ინტერესები.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო, კანონიერი საშუალება გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ იურიდიულ მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად. ადვოკატი შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპით, რაც იცავს კლიენტს ადვოკატის მიერ მისი უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. კლიენტს ხშირ შემთხვევაში არ აქვს უნარი დამოუკიდებლად გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები, ხოლო ადვოკატმა სამართლებრივი განათლებით, უნარ-ჩვევებით უნდა უზრუნველყოს კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვა. კლიენტისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად.

5.4 საჩივრის ავტორის პრეტენზიები შეეხება ადვოკატ მ. გ.-ის მიერ არაკვალიფიცურად განხორციელებულ დაცვას. ვინაიდან, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო საპროცესო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის მიღება და მას ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ადვოკატის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით ეთიკის კომისიამ 2020 წლის 01 სექტემბერს თავად მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და გამოითხოვა ზ. ა.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, სხდომის ოქმის ჩანაწერებთან ერთად.

5.5 საქმის მასალებში წარმოდგენილი 2019 წლის 03 მაისის N ორდერით დასტურდება, რომ ადვოკატ მ. გ.-ს ჰქონდა ვალდებულება დაეცვა ბრალდებულ ზ. ა.-ის ინტერესები ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებში, პენიტენციურ დაწესებულებებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში. ორდერი მოქმედებდა საქმის დასრულებამდე.

5.6 ეთიკის კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადვოკატი მ. გ. კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით დაესწრო 2019 წლის 03 მაისს, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გამართულ წინასასამართლო სხდომას (საქმე N1-112-19), სადაც ბრალდებულს წარმოადგენდა საჩივრის ავტორი. ზ. ა.-ს ბრალი ედებოდა სსკ-ის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით

გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში. ბრალდების არსს წარმოადგენდა დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა.

5.7 2019 წლის 03 მაისის ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გამართული წინასასამართლო სხდომის (საქმე N1-112-19) შემდეგ, ადვოკატი მ. გ. საჩივრის ავტორის ინტერესებს წარმოადგენდა 2019 წლის 15 მაისის ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე, ასევე, 2019 წლის 23 მაისისა და 2019 წლის 11 ივნისის სასამართლო სხდომებზე. დასახელებულ სასამართლო სხდომებზე ადვოკატმა მ. გ.-მ, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები: სადავოდ მიიჩნია პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება; წარმოთქვა შესავალი სიტყვა; მონაწილეობდა მოწმეთა დაკითხვაში; არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას ზ. ა.-ისათვის ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, რასაც დაეთანხმა საჩივრის ავტორი და რაც დასტურდება 2019 წლის 15 მაისის ოზურგეთის რაიონულის სასამართლოს სხდომის ოქმით საქმეზე N1-112-19. საქმეში არსებული 2019 წლის 11 ივნისის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი ადასტურებს, რომ ზ. ა.-მ დააყენა ადვოკატ მ. გ.-ის აცილების შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ. აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ, ადვოკატი მ. გ. აღარ ახორციელებდა ზ. ა.-ის საადვოკატო მომსახურებას.

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების ეთიკის კომისიის მიერ გამოკვლევისა და შეფასების ფარგლებს, როდესაც პრეტენზია არაკვალიფიციურ მომსახურებას შეეხება. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე N026/10/ დაადგინა, რომ: ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.9 ეთიკის კომისიის მიერ ოზურგეთის რაიონული სასამართლოდან გამოთხოვილი და შესწავლილი მასალით დასტურდება, რომ ადვოკატი მ. გ. აქტიურად იყო ჩართული საქმისწარმოების პროცესში და კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებს. 2019 წლის 03 მაისს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გამართული წინასასამართლო სხდომის (საქმე N1-112-19) ოქმის, ასევე 2019 წლის 15 მაისს, 2019 წლის 23 მაისსა და 2019 წლის 11 ივნისს გამართული სასამართლო სხდომის ოქმების ანალიზის შედეგად არ დგინდება ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ან არაკვალიფიციური ქმედება.

5.10 ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ მხარემ თვითონ უნდა წარუდგინოს ეთიკის კომისიას რელევანტური მტკიცებულებები. ეთიკის

კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ზ. ა.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა მ. გ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

5.11 ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც ერთობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის, გარდა ზოგადი სახის ახსნა-განმარტებისა, არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც ეთიკის კომისიას შეუქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად დაცვის თაობაზე.

5.12 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან გამომდინარე არ დგინდება ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #075/19 ადვოკატ მ. გ.-ის /სიითი #/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/